(6) ლარგირ 1930 წ.

ᲐᲑ 689

მოვდიეარ მომიხარიან
მომაქვს ცხოვრება ახალი.
სოფლად გათავდეს, მოისპოს
კულაკის ყალ-მაყალი.

ბოლოს მოეღოს ლარიბის
მწუხარებას და ვაებას.
ხნულში, ვენახში, მინდორში
ზრომის ვუგუნი გაებას.

მიწა აიღოს ბარაქით,
ამინდი დადგეს ჭეშური.
ყველგან გამეფდეს ზრომა და
ცხოვრება კოლექტიური.

საახალწლო გოზინაყები

ჩარჩ-ვაჭრებს

ოფელი გედგათ როგორც
უბაკუთრესი სახლი.
გლეხის ოფლით და შრომით
ავსილი გქონდათ დახლი.
უეცრად გაჩნდა „ეპო“,
გამოგაცალათ ფარჩა.
თქვენი სახელი სოფელს
მწარე სახსოვრად დარჩა.
მგელმა შეჭამოს ყველა—
დაბადებული ჩარჩათ!

მღვდლებს

ანაფორაზე ჯვარი,
ანაფორაში მგელი,—
აი ვინ არის ყველა
„სულის მაცხონე“ ღვდელი.

გიშრო-კრატებს

საბჭოთა აპარატში
ზოგჯერ სკუპია გამგედ.
ქაღალდებს აგვიანებს
და საქმეს ურევს განგებ.
დასიებია თავი,
ღიპით მიკიტანს ავავს.
ამ „გმირს“ წმენდაში ალბათ
გაეყოლებენ ნაგავს.

ზოგიერთ „ეპოს“

ნუ გეწყინებათ პირში
თუ მოგახსენებთ მართალს.
ხშირად კულაკებს ატანთ
საპონს, შაქარს და ფართალს.

ზოგიერთ ნოქრებს

ერთ დროს დუქანი ჰქონდა
ჩვენს საყვარელ ძმა სერგოს.
ეხლა ეპოში შეძვრა,
ისევ მიაგნო ერბოს.

სჯამს და —ვაი თუ ბოლოს
გამსახლში ჯდეშა ერგოს..

საკრედიტო ამხანაგობებს

ორი წლის წინ, რომ ასეხე
ვისაც თანხა და ფულია.
თუ არ აიღებ გაცემულს,
იცოდე— დაკარგულია.

კოლექტივებს

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო.
შენი შემყურე კულაკი
იხრჩობა ბრაზისგანაო!..

დასთეს კომისიებს

დროზე გამართეთ ტრაქტორი
და მიაშველეთ ტრიერი,
თორემ დარჩება ძმობილო
ხაშა მშრალი და მშიერი.

საბჭოს ზოგიერთ თავმჯდომარეს

დილით —შუადღით ძილი,
მერე ქელეხი— ნათვლა.
საღამოს ისევ სუფრა,
ინდაურების დათლა.
რომ სულ არ ჰყავდე სოფელს—
უკეთესია მართლა!

ფერა-ქითხვის უცოდინარს

საღამოობით ძმაო
სამეკიტნოში გავლა.
ისა სჯობია ბარემ
ხელი მოჰკიდო სწავლას.

ჩვენს გლეხკორებს

ჩვენი გაზეთით მოფინეთ
ყველა ქოხი და ნალია.
ჩვენს ამოცანად ამ წელში—
ასი ათასი ცალია.

აბა, გულდაგულ, მხარდამხარ
გააბით მტკიცე რიგები.
აქეთ მიმართეთ სუყველამ
გეგმა და თადარიგები.
თან მოსცხეთ სოფლის ორგულებს,
თუ სადმე გამოერია,
ძირ-ფესვიანად მოთხარეთ,
საცა კი ჩვენი მტერია!

შოლტიანი.

იყალთოს კოოპერატივში

მოვაწყე სამხედრო კუთხე, სადაც გამუდმებით სწარმოებს რევოლვერისა და თოფის სროლა როგორც დღისით — მუშაობის დროს, ისე ღამით.

აქვე სწარმოებს კახური ღვინის ნიმუშების შემოწმება ახალი გაუმჯობესებულ წესით, გულდაწყვარი „ბაიათებით“.

ნოქარი **დათა გულკაძე.**

იყიდება

საუკეთესო ჯიშის მეწველი ძროხა, რომელმაც **შარშან არტემ ტუშურს** ექვსი ათასი მანეთი ნაღდი ფული ჩაუდო ჯიბეში, 1929 წელს **ფარნაოზ წიკლაურს** 4000 მანეთი,— ეხლა კი ამ ფურს ნოქარი **იოლიტე ნუნიაშვილი** სწველის.

მსურველმა მიმართოს თბილისის ოლქში **მრწოს კოოპერატივს.**

საუკეთესო სასტუმრო

მოვაწყე სოფელ **ხატისოფელში**—ოთხწლედის შენობა.

ღამის გამთევი იხდის 5 მანეთს. აქვე საკლასო ოთახებში მოწყობილია რესტორანი, სადაც მუდამ მოიპოვება გემრიელი საჭმელები და საუკეთესო ღვინო.

ქეიფი ყოველდღე დილიდან—გათენებამდე.

ოთხწლედის გამგე **ლავრენტი ჯანჯღავა.**

გულითადი მადლობა

იმ პირებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა დანაშაულისთვის სამსახურიდან ჩემს მოხსნაში.

ეს რომ არ მომხდარიყო მე უკეთეს ადგილზე ვერ მოვეწყობოდი თბილისში — სატყეო ტრესტში, სადაც ორჯერ უფრო მეტ ჯამაგირს ვიღებ.

ტრესტის ბორჯომის ქვერაიონის გამგე **გენო ტაბატაძე**

ესეც მიზეზი

— კაცო, ამისთანა უბედურება გეახავს, რომ კაცს სიცილი უნდოდეს და ვერ გაიცინოს?-

— რა გიშლის?

— ის მიშლის, რომ დღეს კოოპერატივში შარვალი ვიყიდე და მეშინია სიცილის დროს ღილი არ ამწყდეს და შარვალი გზაში არ ჩამვარდეს.

ძლივს მოეღო ბოლო
განუწყვეტელ ლოდინს.
შეხეთ ჩვენი გმირი —
მინჭილაძე მოდის.
არ გეგონოთ ვისმეს —
ვაჩხრიალებთ ბამბას:
რომ იცოდეთ რამდენს
მოგიყვებით ამბავს.
თუმცა ჩვენ გმირს ცოტა
ულიტინებს ჭკვაში.
შოლტს რომ წაიკითხავთ
— ხეირს ნახავთ მაშინ!

ხარჯთაღრიცხვა

— ხარჯთაღრიცხვით ჩვენს კოოპერატივს დიდი მოგება დარჩა...

— მაშ, რად არის, რომ სალარო გამოცარიელებულია?

— ხარჯთაღრიცხვის შედგენაზე დაიხარჯა!

— მთელი დღე უშედეგოთ დავდივარ... ის მაინც გამეგო, რა მიშლის ხელს, სად მარხია ძაღლის თავი!
— კი არ მარხია, აი ეგერ ზის!

ᲯᲐᲕᲠᲘ ᲘᲧᲐᲠᲐ

ანთიმოზ მძრომელაძე გაბრაზებულია. ნუ დაელაპარაკებით მას თორემ მთელ ჯავრს თქვენზე ამოიყრის. ეხლა მარტოკაა თავის ოთახში და საკუთარ თავს ესაუბრება:

—ეაი ჩემო თავო, განა ამას მოველოდი?! კაცი სულით და გულით ვემსახურებოდი მთელი 6 თვის განმავლობაში ვეკაპეს პარტიას და დღეს პანღურის კერით გამომადგეს კარში როგორც ნაგავი. ეს არის თქვენი პროლეტარული ამხანაგობა? ამას გიკარნახებთ კომუნისტური პროგრამა-ა?! დაღუპვის გზას მიჰყვებით, ჩემო ძმაო; ასე თუ გამოყარეთ დაწესებულებებიდან ჩემისთანა მუშაკები—დაობლდება აპარატი, მაშ რა დაემართება! არა ერთი მითხარით, რაზე დამითხოვეთ, რომელი ბურჟუა, ნეპმანი ან იმპერიალისტი ვიყავ, რომ ვერ მოინელეთ ჩემი თავი. საწევრო გადასახადი ყოველთვის დროზე შემქონდა, ერთ კრებას არ მოვცდენილვარ, რემდასინ ნიშანი ყოველთვის გულზე მეკრა და ერთ სიტყვით არც სიფხიზლისას და არც სამთვრალისას არ დამივიწყნია ჩემი მოვალეობა. ჩემისთანა პატიოსანი მუშაკები საჩვენებლათ უნდა გყავდეთ და თქვენ კი აი როგორ დამაფასეთ!

„ლოთიაო—კრებაზე მთვრალი მოდიოდაო".—ეაი რა უთხრა თქვენს თავს! მაშ რაჯი მთვრალი ვიყავ კრება უნდა გამომეტოვებინა?! უკაცრავად, ზოდიმს ვიხდი, მაგრამ თქვენზე ნაკლებ არა ვარ საბჭოების ერთგული! მე ყოველთვის მთვრალი ვარ, მაშ არასოდეს კრებას არ უნდა დაეცდენოდა?! ვერ მოგართვეს ბადრიჯანი!!!

ცოლსა სცემდაო, სჩაგრავდაო... სიმთვრალისას თუ ვცემდი, თორემ ფხიზელ დროს მე ცოლისათვის ხელიც არ მიხლია... ან ვისი რა საქმეა, დაწესებულებას რა დააკლდება იმით, რომ ჩემს ცოლს ერთი-ორი მუშტი ნორმაზე მეტი მოხვდეს!

ღვთის მორწმუნეაო, ეკლესიაში დადისო..! რომელი მორწმუნე მე მნახეს (ღმერთო შეგცოდე!)... ამ ექვს თვის განმავლობაში სულ სამჯერ ვყოფილვარ ეკლესიაში, ისიც საპატიო მიზეზების გამო; პირველათ შვილს რომ ნათლავდი, მეორედ—დედა რომ დაეასაფლავა და ამ ერთი კვირის წინათ კიდევ სამღვთო დაუკალი წმინდა გიორგის როგორც დაპირებული ვიყავი უმუშევრად ყოფნის დროს, მიზეზ-მიზეზ—დოს მარილი აკლიათ. სწორედ ამათზეა გამოჭრილი ეს ანდაზა... აღარ იციან რას გამოეკიდონ.. მაგრამ არა უშავს რა, არც მე ვარ თქვენზე ნაკლები ბიჭი, ყოფას გიტირებთ, არ შეგარჩენთ ჩემს ნაოფლარს!..

ანთიმოზი წამოიტა—ამოიღო უჯრიდან სუფთა ქაღალდი, მოუჯდა მაგიდას და დაიწყო წერა:

ᲐᲓᲒᲘᲚᲙᲝᲛᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲯᲨᲘᲠᲡ:
უსამართლოდ დათხოვნილ ანთიმოზ მძრომელაძის

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ვინაიდან მე მთელი ექვსი თვის განმავლობაში კავშირის რიგებში ვიყავ და პატიოსნათ ვიხდიდი საწევრო გადასახადებს, ეხლა კი უსამართლოდ დამითხოვეთ, გთხოვთ ამინაზღაუროთ მთელი ზარალი და შეურაცყოფა, ესე იგ.. დამიბრუნოთ ექვსი თვის საწევროები, „ჩვენი პასუხი ჩემბერლენისათვის" შეტმოტანილი ორი მანეთი და ორჯერ შაბათობაში გამოსვლის გასამრჯელო.

ყოფილ კავშირის წევრული სალამით:—
Ა. ᲛᲫᲠᲝᲛᲔᲚᲐᲫᲔ.

დედანთან სწორია: ჭინკა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲗ

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲩᲔᲛᲝᲡ ᲮᲛᲐᲖᲔ

წინათ თუ მოდიოდა
სამღერით და ჩანგურით,
ეხლა მოდის მუქარით,
მუშტითა და პანღურით.
წინათ სუფრა გაშლილი
და შემწვრები მელოდა.
ათი მოჯამგრრე
მივლიდა და მშველოდა.
სოფელს თავზე ვეჯექი —
მთელი ძალა-უფლებით.
ჩემ ცოლს ვრთავდი ფარჩით და
„ლაკიროვან" ტუფლებით.
მოდიოდა ცხოვრება,
იზრდებოდა ქონება.
ქვეყნად მქონდა სიმდიდრე,
ხაქოს ცხონება.
მთავრობასთან ვიყავი
დიდებით და პატივით;
ეხლა—ერთი შემხედეთ
დავრჩეჩეტებ ბატივით.
აღარც სახლში მაქვს რამე,
აღარც ტანზე მაცვია.
— ყველა ასე მომძახის:
ეს ყოფილი კაცია.
ძაღლათ აღარ მაგდებენ
მიტომ დავალ მტირალი.
სოფელს მართავს დღეს ჩემი
ნამოჯამაგირალი.
ეს ჩინეთიც ჩაფლავდა,
ყველკან ცუდი ხმა მოდის.
ხან ვლანძღავ, ხან ვლოცულობ,
არაფერი გამოდის.
არაფერი არ მშველის
ეს დროც ჩემი მტერია.
მართლა ჩემო თაოჯან
ბედი არ გიწერია!

ჭიტა.

„ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲘ"

— მართალია, ამბობენ, რომ ღმერთი არ არსებობსო, მაგრამ რა დაშავდება, რომ ათასში ერთხელ მაინც პირველი გადავიწერო... სამაგიეროთ დამშვიდებული ვიქნები!...

ᲣᲫᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ

— გუშინ საღამოს კრებაზე ვიყავი და წუხელ მთელი ღამე ველარ დავიძინე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ კრებაზე გამოვიძინე.

ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ ᲒᲚᲔᲮᲙᲝᲛᲨᲘ

— მოხუცებული ვაცი ვარ, შენი ჭირიმე, იქნებ ცოტაოდენი პენსია დამინიშნოთ....

— რამდენი წლისა ხარ?

— ას-ათი წლისა ვახლავარ, შენი ჭირიმე.

— მშობლები გყავს?

— არა.

— მაშ, ვინ დაგიმოწმებს, რომ ასათი წლისა ხარ?

ᲐᲜᲙᲔᲢᲐ

1. გვარი და სახელი: — **თავფქვილაძე ნიკიფორე.**
2. ხელობა — **მწერალი.**
3. რამდენი წლისა ხართ? — **ასოცი წლისა შევსრულდები 1998 წელში.**
4. რა მონაწილეობა მიგიღიათ რევოლიუციაში? —ამის შესახებ მე არაფერს ვიტყვი, რომ კვეხნად არ ჩამომერთვას.
5. როდის დაიწყეთ მწერლობა? — **1900 წლიდან, მაზრის ბოქაულთან ვიყავ მწერლად.**
6. რას აკეთებდით ოქტომბრის რევოლიუციამდე? — **ვიყავი მნათეთ, მედავითნეთ, დიაკვნათ, ფეხზე მოვაჭრეთ, ბოლოს მწერლად.**
7. რომელ პარტიაში იყავით? — **თავის თავად ცხადია, მენშევიკურ პარტიაში.**
8. თანამშრომლობთ თუ არა ჟურნალ - გაზეთებში?: — **ვთანამშრომლობ.**
9. **რა დაიბეჭდა თქვენი ჟურნალ-გაზეთებში? „წერილი რედაქციის მიმართ", სადაც ვწერდი, რომ ავაზაკი თავფქვილაძე, რომელიც გაზეთში იყო გამოცხადებული, მე არა ვარ მეთქი რომ მე მხოლოდ ჭურდობაში ვიყავი შენიშნული.**
10. **რას იტყვით კიდევ თქვენს შესახებ. — ჩემს შესახებ ისტორია იტყვის.**

ᲒᲐᲚᲘᲨᲘ ᲒᲘᲭᲐᲓ!

ᲮᲝᲜᲘ

არტემ ბერიძეს იცნობდეთ,
მეტად ჭკვიანი კაცია.
უყვარს უშრომლათ ცხოვრება
და მარჯვე კომბინაცია.
ფულით შეჭამა სოფელი,
ღიჭი აივსო ჭონებით.
დადგა ავსილი ბეღლება.
დაქირავებულ მონებით.
ცოლიც შეირთო, აშენდა,
დადის ამაყი ბოტებით.
თითონ მოირთო ჭულაჯით
და ცოლი კავერკოტებით.
მაგრამ დაღონდა არტემა
ტლოდა შვილის ყოლასა.
თუმც არ აკლებდა მეუღლეს
ალერსს და გვერდით წოლასა,
მოტყუედა არ შეეძინა,
მემკვიდრე — ამდენ ქონების,
და ბოლოს ხერხი იხმარა
ტეხნიკა—გამოგონების..
ქალს გაუზარდა მუცელი
ბელიშით-მუთაქებითა.
რომ ცოლი დაუფეხმძიმდა—
ხალხი მოფინა ხმებითა.
და ცხრა თვე გამწარებული
როცა ლოდინით მოვიდა,
ნინო გაგზავნა ქუთაის
წუხილითა და გლოვითა.
ხუმრობა საქმე არ არის,
ვინ გადაიტანს ქალობას,
შობო და ისიც ბალიში,
ვაი ამ შშობიარობას, —
ტეხნიკა-მეცნიერებამ
გასჭრა ფულების ძალითა.
ბალიში ბიჭად გადიქცა,
ქვეყანამ ნახა თვალითა.
სახელად ნოდარ უწოდა,
გადაუხადა ღღეობა,..
მთავრობას აღარ დარჩება,
არტემას მემკვიდრეობა.....
მაგრამ გაუგეს ოინი,
წაუხდა კომბინაცია, —
თვითონაც ყვირის ამ ამბავს
ფულით ნაყიდი პაწია!...

იშკილ.

ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲐᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲒᲐ

კოოპერატივის ნოქარმა კირილემ შესჩივლა ჭოხ-სამკითხველოს გამგეს:

— ერთ სადარდებელში ვარ ჩავარდნილი, ღამე ძილი არა მაქვს და დღე მოსვენება, აღარ ვიცი როგორ მოვიქცე და რა გზას დავადგე. ერთის მხრივ, როგორც ნოქარი, მოვალე ვარ დავაკმაყოფილო მომხმარებელი და რამდენიც უნდა, მივცე ღვინო, მეორეს მხრივ კი, როგორც ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლი კომისიის მდივანი, მოვალე ვარ ვებრძოლო ლოთობას და გლეხებს მოვუწოდო ხელი აიღონ ღვინო-არაყის სმაზე. გუშინაც კრებაზე გამოველ და ხალხს ვეუბნები ღვინო-არაყი შხამია და ამიტომ არ უნდა დალიოთ მეთქი, ამ დროს წამოდგა ერთ-ერთი გლეხი და მეუბნება: შენა სჭრი, შენვე ჭკერავო.

— მაგას რაზე ამბობ მეთქი,—ეკითხე, იმაზე ვამბობო, რომ სიტყვით ღვინო-არაყის სმას გვიკრძალავ და კოოპერატივი კი ღვინო-არაყითა გაქვს სავსეო.

მაგრამ რაღა მარტო ღვინო-არაყი, ავიღოთ თამბაქო. ყოფაზები სავსე მაქვს ათასნაირი ხარისხის თამბაქოთი, 7—8 წლის ბავშვებიც კი ყიდულობენ და ამავე დროს მე, როგორც თამბაქოს წევის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიის თავმჯდომარე, ხალხს მოვუწოდებ და ვურჩევ არ მოსწრინ თამბაქო. აღარ ვიცი როგორ მოვიქცე და რა გზას დავადგე, რომ ასეთ წინააღმდეგობას თავი დავაღწიო.

— მაგისათვის ერთად-ერთი გამოსავალია, უპასუხა ჭოხსამკითხველოს გამგემ,—თამბაქოს წევისა და ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიებს თავი უნდა დაანებო და მაშინ ასეთ წინააღმდეგობებში აღარ ჩავარდები.

ᲜᲘᲡᲙᲐᲠᲢᲐ.

— ᲖᲐᲚᲠᲐᲜᲘᲪᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲔ ᲩᲣ ᲛᲘ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲨᲘ

— **სჩანს საუკეთესოთ გაქვთ კოოპერატივის საქმე დაყენებული, რომ საჩივრის წიგნში არაფერი ჩაუწერიათ მომხმარებლებს.**

— **სიმართლე რომ მოგახსენოთ, ეგ იმის მიზეზია, რომ ჩვენს სოფელში არავინ წერა - კითხვა არ იცის.**

Ს. ᲡᲕᲘᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘ ამით აცხადებს: ღვინის კარგი მოსავლით გახარებულნი ხშირად საქმის დღეებშიც ნინუას მივირთმევთ. საქმეზე მოსულ გლეხებს ვთხოვთ ჯერ გაიგონ—მთვრალები ვართ, თუ არა და თუ ფხიზელი აღმოჩდით, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვმართონ საქმისათვის.

ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲯᲦᲝᲛᲐᲠᲔ

ᲜᲔᲚᲘ

ᲐᲚᲘᲐᲚᲐᲠ ᲡᲐᲚᲓᲔᲑᲐ!

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲔᲠᲘ

ᲐᲜᲣ ᲨᲘᲨᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ

ლონდონის ერთ-ერთ კოოპერატიულ სავაჭროში შევიდა პოლიცია.

— ეს რა არის?

— პამიდორი გახლავთ.

— რატომ არის წითელი?

— პამიდორი, საერთოდ წითელია.

— ტყუილია! თქვენ აგიტაციას ეწევით! დღეის შემდეგ არა ვნახოთ აქ წითელი პამიდორი.. ეს რაღაა?

— ეს სტაფილო გახლავთ.

— ესეც წითელი?! დაუყოვნებლივ მოაშორეთ...—წითელი ღვინო გაქვთ?

— გვაქვს და ძალიან საუცხოვო გახლავთ.

— დაუყოვნებლივ მოსპეთ! ეს ქალი ვინღაა?

— ჩვენი მოლარეა?

— ტუჩები რატომ აქვს წითლად შეღებილი?!

— მოგეხსენებათ, ქალებს ჩვეულებათ აქვთ...

— თვითონ შენ რაღათ გასწითლდი!? ეს ნამდვილი აგიტაციაა! აქ ნამდვილად კომინტერნის ხელი ურევია. დაჰკეტეთ სავაჭრო!

მოწმე.

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲨᲘ

(ᲡᲣᲠᲐᲗᲘ)

ასეთ ამინდში ძაღლი გარეთ არ გაიგდებოდა. მე კი კახეთში გამგზავნეს. მითხრეს უნდა წახვიდეო და მეც მეტი რა ღონე მქონდა, —წავედ.

როგორც იქნა ავიდე ზილეთი და გავედ გარეთ, სადაც კახეთის მატარებელი იყო ჩამომდგარი. კარები ყველგან დაკეტილი იყო, მაგრამ ვაგონები უკვე ხალხით იყო სავსე.

— კაცო, სად მიზვალ, ვერ უყურებ, რომ ამ ვაგონში ქალი და კაცი ერთმანეთს აზის,— მითხრა კონდუქტორმა და უკანა ვაგონისაკენ მიმითითა. ვეცი უკანა ვაგონსებს, იქ უარესი ამბავი იყო; ბოლოს, როგორც იქნა, ერთ-ერთ ვაგონში შეეძვერი და დასაჯდომი ადგილიც ვიშოვე.

გასავალი ადგილები ფეხზე მდგომ ხალხით ისე იყო გაჭედილი, რომ ნემსიც არსად ჩავარდებოდა.

— კაცო, ვინა ხარ, ძმაო, მუხლზე ნუ დამაჯექი.—მივმართე ერთ ვილაც ღიპიანს, რომელიც მუხლზე ჩამომაჯდა.

— რა იყო, რა მოგიციდა! მე მთელი ოჯახი მაწევს კისერზე, ხმას არ ვიღებ და შენ რომ მუხლზე დაგაჯდე, რა მოხდება?!—ძალიან იწყინა მან და თვალები ისე დამიბღვერიალა, თითქოს „იარმუკაზე" დამფრთხალი კამეჩიაო.

ბოლოს გაიხსნა კარები და ვეცი ერთ-ერთ ვაგონს.

ნავთლულს რომ გავსცდით, ვილაცამ გაგვაფრთხილა:

— არ დაიძინოთ, ფრთხილად იყავით, თქვენს ბარგზე თვალ-ყური გეჭიროთ, თორემ ეხლაც ერთს არც ეძინა, არც არაფერი და ცხვირწინ ბურჯინი ააცალეს.

— შე კაი კაცო,—უპასუხა მეორემ,—შენ თვითონ ამბობ, რომ არ ეძინა და ააცალესო, ქურდს თუ უნდა, ფხიზელსაც მოპარავს ყველაფერს და ტყვილად ძილს რაღად შოვცდეთო.—მეორე გვერდზე გადაბრუნდა და არხეინად დაიძინა.

ᲐᲡᲔ ᲘᲧᲝ.

ᲐᲮᲘᲠᲔᲒᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ

(ᲡᲝᲤ. ᲕᲐᲜᲘ)

რა ცუდი ნირი დასჩემდა
ვანის ფოსტასა ასეთი!
ნახევარჯერ იუსტინეს
სოველი მოაქვს გაზეთი.
ბესო ნიკოს წუმწუმას სთხოვს:
ცეცხლი უნდა დავანთოო,
ფოსტა სველ გაზეთს რომ მომცემს,
იქნებ იმით გავაშროო!
თუ რომ ქარი ამოვარდა,—
უარესია წვიმაზე..
იუსტინე დაგვიძახებს:
— ველარ გამოვალ პორომზე!
თუ წვიმს — სველია გაზეთი,
ქარი თუა — სულ არ მოვა..
ამისთანა ფოსტის მოჭტანს
დაესია მგლების ხროვა!

ᲡᲮᲣᲠᲕᲐᲠ.

ᲢᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲝᲠᲐᲨᲘ

(Ბ. ᲒᲝᲠᲐ)

გორას მოაწყვეს სალამი
არ აკლდა არაფერია:
გოკბები, ხაჭაპურები,
სასმელიც იყო ბევრია,
სუფრის თავშია ვალიკო,
ღვინის დროს მოუბარია,
ალექსანდრეც ხომ იქვე ჰყავს
ცნობილი მოჩხუბარია.
დიდხანს გასტანა ქეიფმა,
ჯიბეს არ ზოგავენ ბიუები..
ყლაპავენ რაც შეუძლიათ,
აქვთ, თუ არა აქვთ ფულები.
გათავდა მათი ქეიფიც
და ჩოთქაც გაჰკრეს ხელია,
ამის დამნახველ ბიუესა
უცბად წაუხდა ფერია.
ფულის გადახდას ამბობს
ვინმესთვის დარტყმა თავშია,
გალახეს გლეხი თორმეტი,
როგორც პატარა ბავშია.
და გაიცდინეს ნალვინეს
ორშაბათს გაკეთილები,
სამშაბათს დაგვიანებით
მოდიან ჩვენი გმირები.
ასეა მათი ამბავი,
ვის უყვარს მტვერეა ბოლისა,
მათ შეერგებათ მალამოთ
ერთი მოჭიეა შოლტისა!

ᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲐᲙᲘᲜᲗᲝ.

ᲒᲝᲛᲘᲡ ᲙᲝᲜ-ᲡᲐᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝᲡ გამგეთ. ნიკოლაშვილი კვირაში ექვსი დღე უკვალოდ იკარგება. ვინც იმ დღეებში იპოვის, ვთხოვთ შეგვატყობინოს მისი მისამართი.

ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘᲡᲢᲘ

„ᲣᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ" ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

— ჭირვით მეჯავრება ეს რადიოგაზეთი.

— რათ გეჯავრება? ჩემის აზრით კი ძალიან საინტერესოა.

— იმიტომ, რომ თუთუნის გასახვევად ის არ გამოდგება და ვერც კედელზე გააკრავს კაცი!

ანგარიშის გაკვეთილი



— რომ ვიყიდო ათი კოლოფი ნუმწუმა, ერთი მანეთის ბრინჯი და ორი აბაზის საპონი რა უნდა მომცე ხურდა ათ მანეთიდან? — რვა მანეთი და ნაკაპიკი. აგიწონო?

— არა, მადლობთ... ანგარიშის გაკვეთილი მჭონდა და ფიქრს ასე იოლათ გაგება ვარჩიე!

უგნური

ერთმა გლეხმა ვერ მოიშალა ძველი ჩვეულება. ნახევარი დღე ლოცვაში იდგა ხატის წინ და ყოველთვის იმდენი შესაწირავი მიჰქონდა, რამდენიც შემოსავალი არ ჰქონია. ამას იმიტომ შვებოდა, რომ რაღაც საქმეში შველას თხოვდა.

როცა ერთხელ უკანასკნელი დედალი მიიტანა, მეზობელმა უთხრა:

— მაგ შენ მექრთამე ხატს რომ ძალა ჰქონოდა, ცოტა ჭკუასაც მოგცემდა, რაც შესაწირავში დაგიხარჯავს, ის რომ საქმისთვის მოგეხმარა, ამდენნაირ ... საქმეს გააკეთებდი!

უილაჯო წრე

(სოფ. სორმონი)

ულმერთოთა წრესთან სასტიკი ბრძოლის შემდეგ გამარჯვებული გამოვიდა მამაო ნიშნიანიძე. სორმონის გლეხობა გახარებულია, რომ ასეთი უილაჯო წრე მოიშორა და ელის უფრო ძლიერსა და ნაყოფიერს. დაყოვნება შეუძლებელია.

სინიდისი.

უბედურება ავიცდინეთ

(სენაკი)

სასტუმრო „ინტერნაციონალის“ სალაროს ჩამტვრევა ემუქრებოდა. უბედურების თავიდან ასაცილებლად გამგემ ბეალავამ სალაროს განტვირთა 1200 მანეთით. უბედურება აცდენილია.

კურს მელია.

ამ №. გლეხებო!

მიაწოდეთ თქვენ ჟურნალს „შოლტს“ მასალები სოფლის ძველა მტკივნეულ საკითხის შესახებ! გაუგზავნეთ თქვენ ჟურნალში სოფლის მრუდე მხარეები, ამხილეთ თქვენი მტერი და ორგული!

თქვენ მიერ გამოგზავნილ არც ერთ მასალას რედაქცია უყურადღებოთ არ დასტოვებს.

მოთხრობების, ლექსების და წერილების გარდა გამოგზავნეთ **სურათები - კარიკატურები.**

მოწონებულ სურათებს რედაქცია პირველ რიგში დაბეჭდავს.

ვერაფერ ყოფამ — კეთილი ყოფამ!..

სიზმარში ოა ცხადში ტკბილად მოსაგონარო **სამსონ ხუნხუნაიშვილო!** რამდენი ხანია შენს მისამართს დავეძებ და მხოლოდ ეხლა შემთხვევით გავიგე, რომ **სოფელ როხის** გლეხკომის თავმჯდომარედ ყოფილხარ... შენმა ამბავმა ჩემს ყურამდე მოაწია და სიხარულისაგან გული გამეხსნა. ისევ ძველებურად მხნეთ და შეძლებულად ყოფილხარ. თურმე სდევნი და ავიწროებ ღარიბ გლეხებს, მფარველობ ვაჭრებს და შენსავით კულაკებს და ათასნაირ აფერისტობასაც სჩადიხარ იმისათვის, რომ ჯიბეში ცოტა რამ ჩაიჩხრიალო. დიდ მადლობას გიძღვნი ვაჭარ **იპოლიტე გაჩეჩილაძისთვის** გლეხკომის სახელით საყასბოს გასახსნელად ნებართვის მიცემის გამო. ამბობენ იპოლიტე თავის მოგებიდან ბუჩუღებს შენც გიზიარებდაო. მეწყინა საყასბო რომ დაუკეტიათ, მაგრამ იმის იმედი მაქვს, რომ მარჯვე კაცი ხარ, ნემსის ყურში აქლემსაც გააძვრენ და ალბად კიდევ გაიჩენ შემოსავლის წყაროს. მართალს ამბობ, ჩემო სამსონ, ჯამაგირი არ გეყოფა კაცს, თუ გამოსარჩენიც არ გექნა!.. აგერ მალე გლეხკომის გადარჩევა მოხდება და არ დაგავიწყდეს შემატყობინო, — ჩამოვალ ჩემი შოლტით და რამდენსაც გაუძლებ, იმდენს გითავაზებ. მანამდი კი ამ ერთ გადმოქნევას გიგზავნი მხოლოდ. არ დამემდურო ამ მცირე მოსაკითხზე.

შოლტი

მოკრივე ექიმი

(საქობო)

უყურეთ ერთი ამ ექიმს
მოსიყვარულეს ლხინისა.
პირიდან ორთქლი ამოსდის
არაყის და ღვინისა.
ამირალოვი რუბენი,
განთქმული მუშტი-კრივითა,
ღრიალით, ლანძღვა - გინებით
წნორის სადგურში მივიდა.
მუშა **ბაკაშვილს** მიუხტა,
დაუწყო დედის გინება.
მოდი და ასეთ ექიმზე
მართლა ნუ გაგეცინება.
ხუმრობა საქმე არ არის,
განათლებული კაცია.
შეხედეთ მართლა ექიმს გავს
ტანზეც მდიდრულად აცვია.
ნამდვილად ხეპრე ყოფილა,
და ხელს არ გვაძლევს ძამია.
სოფლის ასეთი „მოღვაწე“
მშიერ მგელს შეუჭამია!

გლეხი.

ᲧᲕᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ

ᲧᲕᲐᲕᲘ: ერთი ამ ტუტუცს დახედეთ, გაუსავალი მაინც არ ექნება და აღარც ჩვენ წმენდელ ხორბალსაც არ გვაჭმევს... მაგას მოვჭამოთ?

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ

(ს. ლია)

ჩვენი სოფლისა ტაძარმა
იუკადრისა ტაძრობა
დასწყეველა თვისი გაჩენა
ბუნების იწყო მან გმობა.
„იმ უსამართლო ბუნებამ
ტაძრად რად გამაჩინაო
მე კლუბი ვიყო მერჩია
ლიის კულტურის ბინაო...
რომ ვინმე კლუბად მაქციედეს
გამიკეთებდეს სცენასო...
კარგი საქმით და გართობით,
გავაკვირვებდი ყველასო“....
რომ დაასრულა ეს ნატვრა
ნახა, რომ სცენა კეთდება....
ასე მშვენივრად სრულდება
იმისი სულისკვეთება.
იქაურობას ამშვენებს
ფარდა წითელი ფერადა
სოლომონს, ლამფა მოქონდა,
ფეო კი გრიმებს კერავდა.
ხატები — ჯვარი დალეწეს.
წაიღოს იგი რიონმა!..
და პლაკატები შესძინა
უღმერთო ბესარიონმა...
კირილე, ბესა, კოწიამ
ახალგაზრდებმა ლიისა
კლუბად აქციეს საყდარი—
„წმინდა“ ლოცვები დილისა.
გავიდა წელი ხუთია...
კლუბი ინგრევა, და სცენა
წაქცეულია საწყლადა
როგორც ყაჩაღი არსენა...
ქარი სისინებს ყოველ მხრივ
უბერავს ჯვარის ბორია
და დააქვთ ლიის დედაბრებს
მაზე მრავალი ჭორია...
თემსაბჭო ხედავს და ამბობს
„გეგმაში არის ლიელნო—
მალე გვექნება ჩვენ კლუბი
ყველასთვის სახარბიელო
მაგრამ... ჰა! მაგრამ... მაგრამ... ჰე!
წაიქცა ერთი კედელი
ზოგს მიაქვს სცენა, ზოგს ფარდა—
და ვრჩებით წელმოწყვეტილი.

ვან—დარ.

ᲖᲚᲐᲪᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲒᲔᲒᲝᲜᲝᲗ!

ᲫᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ სასაცილოა ეს ამბავი, გულმოსასვლელი რომ არ იყოს! ამბავი ესე მოხდა ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲝᲚᲥᲨᲘ სოფელ **ᲦᲕᲐᲜᲙᲘᲗᲨᲘ.**

პატარაა ეს სოფელი და არც თუ რამით შესანიშნავი იქნებოდა, რომ იჭ არ ცხოვრობდეს **ᲦᲕᲓᲔᲚᲘ ᲘᲡᲘᲓᲝᲠᲔ ᲪᲠᲝᲨᲘ.**

როცა ძველი დიაკვანი გაექცა ისიდორეს და მაგიერი ვეღარ იშოვა, მამაოს ბევრი აღარ უფიქრია და ასეთ გზას დაადგა: სწირავს უდიაკვნოთ. მამაოჩვენოსაც თითონ კითხულობს და დავითნსაც. ერთი სიტყვით, იოლას გადის.

გაექცა მრევლი ისიდორე ღვდელს, გვარად კროჭს. შერჩა მხოლოდ ერთი ერთგული კაცი: **ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘ ᲨᲔᲣᲠᲘᲚᲐᲫᲔ.**

ერთი შერჩა, მაგრამ ასს სჯობია... ისეთია გერმანე, რომ ქვას წვენს გამოადენს.

მარტო ქვის წვენი რას ეყოფოდათ. — ამით კუჭს ვერ გაიძღობდენ! იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს ასეთ გზას დაადგენ: დაარსეს საეკლესიო საბჭო. საბჭოს თავმჯდომარეთ არის მამაო ისიდორე, მდივნად გერმანე. საბჭოს პრეზიდიუმშიაც იგივენი არიან: გერმანე და ისიდორე. უბრალო წევრებათაც იგივენი: — ისიდორე და გერმანე. ერთი სიტყვით არის ორი — გერმანი და ისიდორე.

ჩამოიარა ერთ დღეს გერმანემ სოფელი და ამცნო ხალხს:

— საეკლესიო საბჭომ დაადგინა: ვინაიდან წელს ნაკლები მოსავალი იყო, ამიტომ ყოველმა მოსახლემ ღვდლის სასარგებლოდ მხოლოდ ნახევარი ბათმანი სიმინდი უნდა გადაიხადოს... ასეთია მთელი საბჭოს დადგენილება!

— მშვენიერი დადგენილებაა! — შესცინეს პასუხათ გლეხებმა — მადლობელი ვართ, რომ ჩვენს მდგომარეობაში შესულხართ.. მაგრამ, ნურას უკაცრავად, თუ ნახევარი მარცვალიც არ მოგცეთ!

ეს ამბავი რომ ამით დამთავრებულიყო, მხოლოდ გავიცინებდით კუჭმომწვარ მამაოს ოინზე, მაგრამ არ ცხრება ისიდორე კროჭი! დადის გერმანესთან ერთად სოფელში და ცდილობს ძალით წაართვას გლეხებს სიმინდი...

რას შვრება ღვანკითის აღმასკომი, არ გაგიგია ეს ამბავი?! ჩვენ აქ გავიგეთ თბილისში და შენ მად არაფერი იცი?!

როგორც ვხედავთ, ისიდორეს და გერმანეს საბჭო უკეთ მუშაობს, ვიდრე სოფლის საბჭო!

ᲘᲮᲕᲘ.

ᲠᲝᲓᲘᲡ?

(ᲒᲐᲜᲫᲐ)

ესე ამბავი ამ დროის—ბანძაზე საუბარია.
ვინც მოიკოჭლებს საქმეში—შოლტია უუბარია..
ბაღის, რადიოს კეთება ელისემ ჩაიბარია..
წელიწადები სრულდება საქმეა საძეაბარია!..
ისე რომ ყური დაუგდოთ, საქმიან მოუბარია,
მაგრამ ფეხებზე ჭკიდია ასი მთა, მისი ბარია.
„შოლტო“ გენაცვა, ჭირიმე გაუღე შენი კარია,
გადაჭკარ იმას ღონივრად, ვინც რომ საქმეზე მკდარია!

ᲜᲝᲠᲩᲮᲕᲐ.

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

(ახალსენაკი)

— რა ამბავია პოლიკლინიკაში? ვინ ყვრის ასე საცოდავად და ითხოვს შველას?!

— ჩვეულებრივი ამბავია... ექიმი ადამია ცდის თავის მკლავების ლონეს ავადმყოფებზე!

ა. ილე.

1930

ᲠᲐᲡᲐᲪ ᲓᲐᲡᲗᲔᲡ-ᲘᲛᲐᲡ ᲛᲝᲛᲙᲘ

— ᲡᲐᲗᲔᲡᲚᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲠᲙᲕᲘᲠᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲬᲘᲜᲓᲔ, ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲠᲝᲛᲛ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲔᲫᲜᲔᲡ...

— ᲩᲔᲛᲡ ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲐᲡ ᲗᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲠᲙᲕᲔᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲬᲛᲔᲜᲓᲘᲐ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲙᲣᲠᲘᲪ ᲐᲦᲐᲠ ᲣᲭᲐᲛᲘᲐ, ᲐᲘ!

ᲓᲐᲡᲗᲔᲡᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘᲪ ᲣᲮᲕᲘ ᲛᲘᲘᲚᲝ.